ოქმი:**ო03. 3724166001**

თარიღი:**14/06/2024**

ოქმი № 8

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის სხდომის

2024 წელი, 12ივნისი

ქ.ოზურგეთი

11.30 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. ღაჟონია, ბ. თოიძე, ნ. ქარჩავა, მ. ვაშალომიძე, ტ. არეშიძე.ქ.ხომერიკი,გ.მდინარაძე

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.2024 წლის დამტკიცებულ მუნიციპალიტეტების მიერ 2020-2022 წლებში“სოფლის მხარდამჭერის პროგრამის“ განხორციელების ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

2.“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

3. „გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მოწმობის,როგორც მკაცრი აღრიცხვის ფორმისა და ამ ფორმის გამოყენების,აღრიცხვა-ანგარიშგების წესების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ გ.ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს გააცნო სახელმწიფო აუდიტის მიერ წარმოდგენილი ანგარიში. აღნიშნა,რომ 2020-2022 წლების სოფლის მხარდამჭერის პროგრამის განხორციელებისას გამოვლენილია რიგი ხარვეზები, რომელიც არ არის არსებითი ხასიათის. ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-

პასუხის რეჟიმში. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და აღნიშნეს,რომ სახელმწიფო აუდიტის ანგარიშში მოცემული ხარვეზების გამოსწორება გააუმჯობესებს ამ საბიუჯეტო პროგრამის განხორციელების ხარისხსა და ვადებს.კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე წარდგენა განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტები და აღნიშნა,რომ პროექტებზე მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება. ამ დროისათვის საკითხებთან მიმართებით შენიშვნები არაა შემოსული.

გადაწყვიტეს:

კომისიაზე წარმოდგენილი N1 საკითხი მიღებულ იქნას ცნობად, N2 საკითხზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე